ახალი სოფლის ბიბლიოთეკა

ვ. მოლოტოვი

65

სოფლის საბჭოები ახალი ამოცანების წინ

№ 12

თბილისი
1930 წ.

ოსე რტი ა პეტრა
ზიარებული

4869

სოფლის საბჭოები ახალი ამოცანების წინ

ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასთან გამართულ თათბირზე 1930 წ.

1. საბჭოები და კოლექტივიზაცია.

უკანასკნელ თვეებში არსებითად შეიცვალა სოფლის საბჭოების მუშაობის პირობები. მხედველობაში მაქვს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები.

წესად არის გადაქცეული, რომ ამ რაიონებში საბჭოები არ ასრულებენ მათ წინაშე უზღვავად გაშლილ კოლმეურნეობის მიერ დასმულ ამოცანებს.

საბჭოების არჩევნები უკანასკნელად ერთი წლის წინათ მოხდა, მაშინ მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო. მაშინ ჩვენ არ გვქონდა კოლმეურნეობათა ასეთი სწრაფი და მძლავრი განვითარება. მართლაც ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში არა მარტო ცალკე რაიონები და ოლქები გადადიან კოლექტივიზაციაზე, არამედ უკვე მთელი მხარე და რესპუბლიკები ერთ—მთლიან კოლექტივიზაციის ხასიათს ღებულობს. ეს მოვლენა იმის მაჩვენებელია თუ რამდენათ შეიცვალა სოფლის საბჭოების მუშაობის პირობები. ამავე დროს საბჭოებმა თავიანთი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ გარდაჭრეს, ახალ პირობებს ვერ შეუფარდეს. სასოფლო საბჭოებს და რაიალმასკომებს არამც თუ ვერ შეუგუებიათ თავიანთი მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხობის მასების კოლექტივიზაციისაკენ მიზიდვის ამოცანებთან, არამედ ისინი ხშირად განზე დგანან და კოლმეურნეობის მოძრაობა მათ გარეშე ვითარდება. იმ რაიონებში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია ეწყობა იქაც კი ვერ მოგვიხერხებია საბჭოების მუშაობაში საჭირო შეცვლა და გადახალისების შეტანა.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში დღევანდელი საბჭოები, ჯერ კიდევ გუშინდელ დღეს არ გამოსცილებიან. ახალი გარემოებები, არსებითად სცვლიან სოფლის განვითარებას. ამის (ჯადა მაგალითის მაჩვენებელია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები, მაგრამ ამ გარემოებამ ჯერჯერობით თვალსაჩინო გამოხატულება ვერ ჰპოვა ჩვენი საბჭოების მუშაობაში. მაშასადამე, ასეთს საბჭოებს დღეს უკვე აღარ შეუძლიათ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანების შესრულება. ნაცვლად, იმისა, რომ სათავეში ჩაუდგენ კოლექტივიზაციას, საბჭოები სოფლად ხშირად განზე სდგანან და კოლმეურნეობის განვითარებას გარეშე მაყურებლის თვალით შესცქერიან. ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობას ხელმძღვანელობა გაუწიონ, ისინი მხოლოდ კუდში მიჩანჩალებენ, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყონ და გზა გაუხსნან სოფლის კოლექტივიზაციის განვითარებას, ისინი ზოგჯერ კიდევაც აფერხებენ კოლექტივიზაციას,

ამით ისინი, თქმა არ უნდა ასუსტებენ საბჭოების, როგორც მუშათა სოციალისტური დიქტატურის გამომხატველი ძალის აზრსა და მნიშვნელობას, აი ამიტომ გვეთქმის, რომ ეს საბჭოები, წარმოადგენენ გუშინდელ დღეს, ისინი დღესაც სოფლად საბჭოთა მშენებლობის გუშინ გამოვლილ საფეხურს აქეთ ფეხის გადმოდგმას ვერ ახერხებენ.

2. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ღარიბთა ორგანიზაცია და პროლეტარული ხელმძღვანელობა.

ცხადია, რომ კოლექტივიზაციის ბუმბერაზ ზრდასთან ერთად იზრდება და განსაკუთრებით პასუხსაგები ხდება საბჭოების ამოცანები.

ჩვენი ეხლანდელი შეტევა კულაკების აღარაა, რაც უწინ იყო, ეს შეტევა უკანასკნელი და გადამწყვეტი შეტევაა. საკავშირო კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში კოლექტივიზაციის განვითარების შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პარტიას აქვს „სრული საბუთი, თავის პრაქტიკული მუშაობა შესცვალოს იმ გვარად, რომ კულაკების ძარცვა-გლეჯის მადის შემოკლებას თავი დააბეზოს და ხელი მოჰკიდოს კულაკობის, როგორც კლასის, სრულ მოსპობას". ეს დასკვნა კოლმეურნეობათა მოკოლობის ზრდისა და განვითარებიდან არის გამოყვანილი. ამ დასკვნიდან გამომდინარეობს აგრეთვე ისიც, რომ კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობა სოფლის საბჭოებს ახალ ამოცანებს და უდიდეს ვალდებულებებს აკისრებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე მაგალითებს, ასეთი მაგალითები მით უფრო ხშირი შეიქნა, რაც უფრო გამწვავდა შეტევა კულაკის წინააღმდეგ. ახლა, როცა ჩვენ უკვე ხელი მოვკიდეთ კულაკობის, როგორც კლასის მოსპობას, ჩვენ არ შეგვიძლია თვალი და ყური მოვარიდოთ იმ გარემოებას, რომ ამჟამად სრულებით აუცილებელია კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავება სოფლად. დღევანდელი პირობების მიხედვით ჩვენი განვითარების ახალ საფეხურზე, როცა კოლმეურნეობათა მოძრაობა მშიდროთაა დაკავშირებული სოფლად კულაკობის მოსპობასთან, კულაკების მხრივ, აშკარაა, უნდა მოველოდეთ გააფთრებულ ბრძოლას კოლმეურნეობების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს კულაკები არ მოერიდებიან არავითარ საშუალებას არც ტყვიას, არც თავდასხმას, არც ცეცხლის მოკიდებას.

ზოგიერთი რაიონებისათვის კლასობრივმა ბრძოლამ, ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ისეთი მწვავე ხასიათი მიიღოს, რომლის წინაშეც ის, რაც აქამდე გვინახავს კულაკებისაგან გასახსენებლადაც აღარ გამოდგეს. როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ.

საჭიროა მტერი ამთავითვე ისე მაგრად გავსტეხოთ წელში, რომ მას წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი უნარი დავუკარგოთ.

კულაკი გააფთრებით გვეწინააღმდეგება, რომ კულაკი ცდილობს ძირი გამოუთხაროს კოლმეურნეობის განვითარებას, კულაკი ცდილობს შეძვრეს კოლმეურნეობაში, შიგნიდან დააქციოს ის. მიუხედავათ ყოველივე ამისა, მეურნეობის მოძრაობა ძლევა-მოსილად და განსაკუთრებული სისწრაფით მიდის წინ. ყველაფერი ეს საბჭ. ხელისუფლების მთელი წინანდელი დროის სუფლების მთელი წინანდელი დროის მუშაობის შედეგია. საბჭოთა წყობილებამ და ჩვენი პარტიის მუშაობამ რევოლიუციის ამ 12 წლის განმავლობაში შექმნა ისეთი პირობები ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში, რომ დღეს მრავალი მილიონი გლეხი მეურნე ხალისით და ნებაყოფლობით მიდის კოლექტივში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქნა შესაძლებელი კოლმეურნეობების აღმოცენება. მხოლოდ საბჭოთა წყობილების საფუძველზე აღმოცენ-

და ის პირობები, რომ კოლექტივიზაცია გადაიქცა უზღვავი მასების მოძრაობად. მაგრამ ხომ დაგვავიწყდება, რომ, ეხლანდელი კოლმეურნეობა არ წარმოადგენს მთლიანად სოციალისტური გადაკეთებულ - გარდაქმნილ სოფლის მეურნეობას. ეს მხოლოდ დასაწყისია — ეს მხოლოდ პირველი საფეხურია; მართალია, დღევანდელი კოლმეურნეობას სოფლის სოციალისტური მშენებლობის სახე და იერი აქვს, მაგრამ მას ჯერ ნაკლებათ აქვს ნამდვილი სოციალისტური შინაარსი. აი სწორედ აქაა, პირველყოვლისა, საბჭოების ახალი ამოცანები სოფლად.

საბჭოები მუშათა კლასის მთავარ იარაღია სოციალიზმის შენებაში. საბჭოების მთავარი ამოცანა — სოფლად არის:

ა) **ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ;**

ბ) **კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისათვის მხარის დაჭერა და მისათვის ფართო გზის მიცემა და საერთოდ**

გ) **სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარება სოფლად.**

ეს ყველაფერი უნდა გვახსოვდეს, დღეს, იმ დროს როცა ასე მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, სოფლად, როცა ღარიბი და საშ. ალო გლეხი მეურნე მთლიანად მოდის კოლექტივიზაციისაკენ და სოფლად კულაკების მოსპობის საკითხი სადღეისო საქმედ გადაიქცა.

დღევანდელი მოძრობა სოფლად თანდათან ვეებერთელა რაიონების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას იძლევა. ისიც აშკარაა, რომ მახლობელ თვეებში, გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს, კოლმეურნეობანი გადამწყვეტ ადგილს დაიჭერენ ყველა ძირითად სასოფლო - სამეურნეო რაიონებში.

ამ პირობებში სოფლის საბჭოების მუშაობის ხერხი, მიდგომა და შინაარსი, თვით საბჭოების ახალნდელი შემადგენლობა სრულებით არ იძლევა იმედს იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დღეს ჩვენს საბჭოების წინაშე დგანან.

ჩვენ ამ საკითხს მუშათა კლასის ძირითადი ინტერესების თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ, და პირდაპირ უნდა განვაცხადოთ: ჩვენი დღევანდელი სოფლის საბჭოები არ გამოდგებიან მუშათა კლასის მთავარ იარაღად სოფლად სოციალიზმის მშენებლობაში, ამ საბჭოებს არ შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლექტივიზაციას, ვერ გასწევენ ისინი აგრეთვე ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ. დღევანდელი საბჭოების მთავარი ნაკლი ის არის, რომ ისინი თითქმის სრულებით არ კიდებენ ხელს მოჯამაგირეებისა და ღარიბების ორგანიზაციულად დარაზმვას. ეს კი მეტის - მეტად საჭირო საქმეა დღევანდელ პირობებში, ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ ღარიბების ორგანიზაციულად დარაზმვა ჩვენ საბჭოებში, თითქმის სრულებით მივიწყებული საქმეა, კოოპერატივების გახსენება ხომ არ ღირს. იქ ამის შესახებ ყურსაც არავინ იბერტყავს — ეს კიდევ არაფერი.

განა ჩვენ არ ვიცით, რომ ჯერ კიდევ არის აქა-იქ ისეთი საბჭოები, სადაც აშკარად სჩანს კულაკობის გავლენა, ღარიბების ორგანიზაციული დარაზმვის მივიწყება თუ მიფუჩეჩება და კულაკების გავლენა სოფლის საბჭოებში — აი ეს მოვლენა მჭიდროთაა ურთიერთთან დაკავშირებული. კოლმეურნეობის მოძრაობა მილიონების მოძრაობათ გადაიქცა. კოლმეურნეობებში, ღარიბებთან ერთად, შედის საშუალო გლეხობაც — აი სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს პროლეტარული ხელმძღვანელობას კოლმეურნეობის მოძრაობისათვის.

ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ლენინის მითითება, რომ **საჭიროა ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობა.** ეს კი ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვას ნიშნავს. კულაკობის როგორც კლსის მოსპობა—აი ჩვენი ამოცანა — ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მჭიდროთ დავარაზმავთ სოფლის მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხებს, და

საშუალო გლეხობასთან ერთად გავილაშქრებთ კულაკების წინააღმდეგ. რა მდგომარეობაშია, მაინც,ღარიბ გლეხთა ორგანიზაციულად დარაზმვის საქმე?. ეს ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან.

უკანასკნელი 1929 წლის არჩევნები შედეგი ასეთია: სასოფლო - საბჭოებში არის 32 პროცენტი (ესე იგი, თვითეულ ასზე 32 კაცი) ისეთი წევრები, რომლებიც განთავისუფლებული არიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან. სოფელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია კი მოსახლეობის 35 პროცენტი. მაშასადამე, სასოფლო საბჭოებში სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ წევრების რიცხვი ნაკლებია, ვიდრე იმ მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ამ გადასახადს არ იხდის. ეს მოხდა მაშინ, როცა ღარიბ გლეხთა რიცხვი საბჭოებში უკანასკნელ დროს (განსაკუთრებით 1929 წლის არჩევნების შემდეგ), ეჭვს გარეშეა, გაიზარდა. ეს მაგალითიც კმარა საამისოდ, რომ დავინახოთ თუ რამდენათ ჩამორჩენილია საბჭოების მუშაობა მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხების შორის და რამდენათ საჭიროა დაუყონებლივი და მტკიცე შემობრუნება ამ საქმის. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვა სოფლად თვითეული კომუნისტის და თვითეული კომკავშირელის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. რა კომუნისტი ან კომკავშირელია ის, ვინც დაივიწყებს, რომ კომუნისტის მთავარ ამოცანას სოფლად შეადგენს ღარიბ გლეხებისა და მოჯამაგირეების მჭიდროთ გაერთიანება საბჭოებში პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ?

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში პირდაპირ ნათქვამია, რომ **„მხოლოდ საკავშირო კომპარტიისა (ბ) და ლენინური კომკავშირისათვის გარეშე ვიგინდარებს შეუძლია გვირდი აუხვიონ პარტიის ამ ძირითად ამოცანას, ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების ორგანიზაციულად დარაზმვის ამოცანას“**: ეს შემთხვევით ითქვა არის ხათქვამი: ეს ნათქვამია იმიტომ, რომ ჩვენს ორგანიზაციებში, ჩვენ ვერ დავტოვებთ ისეთებს, რომლებსაც შეუძლია დაივიწყონ პარტიისა და კომკავშირის ის ძირითადი ამოცანა სოფლად, როგორიცაა ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირების, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი ძალის, ორგანიზაციულად დარაზმვა.

ხშირად ამ საქმეში საკმარისად მიაჩნიათ წყალ - წყალა რეზოლიუციების გამოტანა, არსებითად კი არაფერს აკეთებენ.

ამას ბოლო უნდა მოელოს.

რასაკვირველია, ჩვენ სრულებით ხელდარეკილი არა ვართ ამ საქმეში, გვაქვს მიღწევები ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვის საქმეში, მაგრამ ეს მიღწევები სრულიად არ კმარა. პარტიამ არა ერთხელ მიუთითა, თუ რამდენათ საჭიროა ღარიბებისა და მოჯამაგირეების ჯგუფების მოწყობა, როგორც საბჭოებთან, ისე, აგრეთვე კოოპერატივებთან და კოლმეურნეობებთან, მიუხედავად ამისა. ჩვენ შორს არ წავსულვართ ამ საქმეში; ახლანდელ პირობებში ეს განსაკუთრებით დაუშვებელია.

ამიტომ ის საბჭოები, რომელნიც ხეირიანად და წესიერად ვერ მოაბამენ თავს, ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების ორგანიზაციულად დარაზმვას და კოლმეურნეობის მოძრაობის გარეშე დარჩებიან — ჩვენ არ გამოგვიდგება. მათ შესახებ ჩვენ სრული უფლება გვექნება ვსთქვათ, რომ **ისინი არ არიან ჩვენ რომ გვჭირდება ისეთი საბჭოები**, რომ ეს კულაკური საბჭოებია.

იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება შეგეხვედეს ასეთი **„კულაკური საბჭოები“**, ეს იგი ისეთი საბჭოები, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია კულაკობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენა, ჩვენ თავდადებით უნდა ვიმუშაოთ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შეკავშირებისათვის, საშუალო გლეხობასთან ერთად, და რაც

შეიძლება აღრე და მალე უნდა გამოვდენოთ კულაკები ამ საბჭოებიდან.

პარტიის ახალი ამოცანები სოფლად მოითხოვს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას — გაცხოველებას. სოფლის მთლიანი კოლექტივიზაცია ნამდვილად მაშინ ჩადგება სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში, როცა იქ საკმარისად განხორციელებული იქნება ნამდვილი პროლეტარული ხელმძღვანელობა. საბჭოებმა, როგორც პროლეტარული დიქტატურის ძირითადმა იარაღმა, უნდა მოახერხოს ეს ხელმძღვანელობა კოლმეურნეობის მოძრაობის განვითარების სწორი გზით წაყვანისათვის. ამიტომაა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში ნათქვამი:

„საჭიროა გაძლიერდეს საბჭოების ხელმძღვანელობა კოლექტივებში, საჭიროა გადიდდეს საბჭოების პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის და წესად შემოღებულ იქნას კოლმეურნეობათა ანგარიშგება საბჭოების წინაშე. ამავე დროს საბჭოები არ უნდა ჩაერიონ კოლმეურნეობათა წვრილმანი საკითხებში, მით უმეტეს არაა დასაშვები ადმინისტრატიული ჩარევა ხელმძღვანელობაში კოლექტივების საქმიანობაში".

მაგრამ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეხლანდელი საბჭოები სოფლად ხშირად „გუშინდელ საფეხურს" არ გადმოსცილებიან. შეუძლიათ თუ არა ასეთ საბჭოებს, უხელმძღვანელონ **ამ** ჯანასკნელ ნახევარ წელიწადში ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებს, ეს კოლმეურნეობები ხომ იმ დროინდელია, როცა ძირითადი გარდატეხა მოხდა სოფლის სოციალისტური მშენებლობის განვითარებაში?

ცხადია, რომ არ შეუძლიათ.

ცხადია, რომ ამ საბჭოებს არ შესწევთ ხელმძღვანელობის გაწევის ძალა და უნარი; ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ საბჭოები იმ სახით, როგორც ამჟამად არსებობენ მათი ახლანდელი შემადგენლობით და მუშაობით ამ ამოცანას თავს ვერართმევენ და არც შეუძლიან გაართვან თავი.

იქ, სადაც კოლმეურნეობები უკვე გადაიქცნენ მასების მოძრაობად, უწინარეს ყოვლისა, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, **იქ** საბჭოები, რომელნიც არჩეულია არიან სხვა პირობებში, შეგუებული არიან უფრო უბრალო ამოცანებს, ისინი შედუღებული არ არიან გლეხობის მასების სოციალიზმისაკენ მიმართულ ახალ მოძრაობასთან, მათ არშეუძლიათ თავი გაართვან ახალ ამოცანებს, თუ მათ ძირიანათ არ შესცვალეს თავიანთი მუშაობა, თუ გადაჭრით არ გარდაქმნეს ამ მუშაობის მოძველებული ხერხი და მიდგომა და თუ სავსებით არ განახლდა და არ გადახალისდა მათი შემადგენლობა.

საჭმე მარტო სოფლის საბჭოებში როდია. ყოველივე ზემონათქვამი რაიონულ ალმასკომებსაც შეეხება. ამასთან შეფარდებით საჭიროა მუშაობის შეცვლა - გარდაქმნა ოლქებშიაც და, დასასრულ, ცენტრალური ორგანოებშიაც.

ეხლა ახალი წესით უნდა აწარმოონ მუშაობა არამც თუ სოფლის საბჭოებმა — ახალი წესით უნდა დაიწყონ მუშაობა საბჭოებმა ქალაქებშიაც და მუშათა ცენტრებშიაც. თუ რომ გლეხობის მოწინავე ფენები კოლმეურნეობებში შედიან, ქალაქებში მუშათა მოწინავე ელემენტები დამკვრელ ბრიგადებათ ეწყობიან.

დამკვრელი ბრიგადების რიცხვი ღიდი – ღიდ იზრდება ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში. ეს არის ღიდი სკოლა წარმატების — ერთი ძირითადი მაჩვენებელი სოციალიზმის მშენებლობაში. მუშათა დამკვრელი ბრიგადები მონაწილეობენ საბჭოთა სხვადასხვა მუშაობაში. ასე, მაგალითად, საფინანსო ორგანოების მუშაობაში გადასახადის გამოება, ბურჟუაზიული ნარჩენების ამოკრეფა შემოწმების დროს ქალაქებში. საბჭოთა მშენებლობის სხვა დარგებშიაც დამკვრელი ბრიგადების და კომკავშირის „მსუბუქი კავალერიის" ჯგუფების მნიშვნელობა უნდა გაიზარდოს.

ქალაქის საბჭოები და მუშათა დეპუტატების საბჭოები მუშათა ცენტ-

რებში უკვე ველარ იქნებიან ნამდვილი პროლეტარული მოწინავე რაზმის წარმომადგენელი, თუ ისინი ნამდვილად არ დაეყრდნენ მუშათა დამკვრელ ბრიგადებს. საბჭოები მხოლოდ მაშინ შესძლებენ შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, თუ ამ ბრიგადებს დაეყრდნობიან, თუ ისინი სათავეში ჩაუდგებიან მუშათა კლასის ამ მოწინავე ნაწილს, დარაზმავენ მათ ირგვლივ მუშათა ფართო ნაწილს და თანდათან უფრო ჩააბამენ ამ ნაწილს საბჭოთა მშენებლობაში.

უკანასკნელ წელს პარტიამ გაძლიერებული ბრძოლა გაშალა ბიუროკრატიზმთან საბჭოთა აპარატში. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ზომები, რომლებიც გაძლიერებით ხორციელდება, ამ უკანასკნელ ხანებში პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ხალხის საბჭოთა დაწესებულებებიდან გამოსარეკავად, წარმოადგენს საბჭოების მთელი მუშაობის ძირითადი გარდაქმნისა და გაუმჯობესების დასაწყისს. მთავარი საქმე ჯერ კიდევ გასაკეთებელია. საბჭოთა დაწესებულებაში მომძლავრებულ ბიუროკრატიზმთან ბრძოლას არასოდეს არ ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, როგორც დღეს. ამ ბრძოლას ჩვენ განსაკუთრებით მონდომებით უნდა შევაშველოთ მასიური დასაყრდნობი ძალა, ვინაიდან, მხოლოდ მასების ფართო მონაწილეობას შეუძლია ბიუროკრატიზმთან ბრძოლა გადააქციოს ნამდვილად ღრმა, ნამდვილად სერიოზულ ბრძოლად.

3. მუშაობის ლოზუნგი „პირით კოლმეურნეობისაკენ“

ამასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა საბჭოების გარდაქმნას, გდაკეთებას სოფლად. ამ საქმეს დაუყონებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი. კოლმეურნეობრივ მოძრაობაზე დაყრდნობის: გარეშე სოფლის საბჭოები და რაიონული აღმასკომები არ წარმოადგენენ პროლეტარული დიქტატურის იარაღს და პარტიის პოლიტიკის გამტარებელ ორგანიზაციას სოფლად. თუ საბჭოები ასე არ დაეყრდნენ კოლმეურნეობრივ მოძრაობას, თუ წესიერად და ძირიანათ არ გადაახალისეს მთელი თავიანთი მუშაობა და თუ თავიანთი შემადგენლობაც არ შესცვალეს, ისინი მხოლოდ მაჩანჩალათ თუ გაჰყვებიან კოლმეურნეობის მოძრაობას კუდში, მეთაურობას კი ისინი ვერ შესძლებენ. საბჭოების ასეთი გადახალისება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში უკვე გვიანდება. ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება. ამ გარდაქმნამ, ერთის მხრივ, უნდა გამოიწვიოს ძირიანი შემრიაობა საბჭოების განვითარებაში სოფლად, ხოლო მეორეს მხრივ საბჭოების მუშაობის მარტო ასეთ შეტრიალებას შეუძლია საბოლოოდ წაიყვანოს მთელი გლეხობის მასის მოძრაობა კოლექტივიზაციის გზით, მაშასადამე, გამოიწვიოს კულაკობის საბოლოო განადგურებაც, და ამასთანავე უზრუნველყოს პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელობაც.

ამიტომაც ჩვენი სადღეისო ლოზუნგი უნდა გახდეს: **„საბჭოები პირით კოლმეურნეობრივი მოძრაობისაკენ“.** როგორც ერთ დროს ამასწინად პროფკავშირების შესახებ ვთქვით „ახლანდელ ხანაში პროფკავშირთა ლოზუნგი უნდა იყოს: **„პირით წარმოებისაკენ“,** ისევე სოფლის საბჭოების მიმართ ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს — **„პირით კოლმეურნეობებისაკენ“.** ამ ლოზუნგიდან გამომდინარეობს ჩვენი დღევანდელი ამოცანები საბჭოების მიმართ.

საჭიროა აგრეთვე შევეხერდეთ ამ უკანასკნელი დროის ერთ ახალ მოდის გატაცებაზე. ზოგიერთ ამხანაგს კოლმეურნეობებზე ლაპარაკი, კოლმეურნეობების ქება - დიდებით მოხსენიება, ერთგვარ ავათმყოფობად გადაექცა. ამასთან ერთად საბჭოების მიმართ ყურადღება კი შესუსტდა, საბჭო, ასე ვთქვათ, მოდიდან გადავარდა. მაგალითად, ამ უკანასკნელ დროს შეიძლებოდა გაგეგონათ მსჯელობა იმის შესახებ, რომ:

— მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში საბჭოები საჭირო აღარ არიანო.

სანამ საქმეს დაკვირებით გავარჩევდით, ზოგიერთი კომუნისტი უკვე საბჭოების მოსპობის გუნებაზე დადგა. ეს ხდება იმ დროს, როდესაც უზომოდ გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა სოფლად, იმ დროს როდესაც პროლეტარულმა დიქტატურამ რკინის ხელით უნდა აღმოფხვრას კულაკობა, როგორც კლასი. ცხადია, რომ საბჭოების ამ მოსპობა განადგურების გუნებაზე მყოფ ხალხს, პროლეტარიატისა და გლეხთა მასების ინტერესები ნაკლებათ ესმის, ან და სრულებით არ ესმის. ეს ხალხი მხოლოდ თავის შეუგნებლობას ამყოფებს, მათ არა აქვთ გათვალისწინებული, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის მოძრაობას საბჭოთა წესწყობილებისათვის.

ეს განწყობილება მეტად ხელსაყრელია კულაკისათვის, და საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის.

ამ უკულმართობას გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო, უნდა განვამტკიცოთ საბჭოების ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებში, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობები საბჭოების მთავარ დასაყრდენ ძალად გადავაქციოთ. კოლმეურნეობის მოძრაობის საფუძველზე საბჭოების მნიშვნელობამ თვალსაჩინოდ უნდა იმატოს. საბჭოებმა უნდა იბრუნოს პირი კოლმეურნეობისაკენ. საბჭოები სათავეში უნდა ჩაუდგენ კოლმეურნეობას, უნდა წაიყვანონ გადამწყვეტი წარმატების გზით, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. კოლმეურნეობის მოძრაობის წარმატება ბევრათ არის დამოკიდებული საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებაზე, ამ მუშაობის გაშლაზე, კოლმეურნეობებში ჩაბმულ გლეხთა მასების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე კი დამოკიდებულია სასოფლო - სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია.

კოლექტიურმა მეურნეობამ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს შრომის მოწყობას კოლექტიურ მეურნეობაში, წარმოების გაუმჯობესებას და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ღარიბ და საშუალო გლეხს ეხლა უფრო მეტად ესაჭიროება სკოლაც, საავათმყოფოც, ბიბლიოთეკაც და სხვა კულტურული დაწესებულება. რაც იყო, იმის დატოვება აღარ შეიძლება. არ შეიძლება არც გზების ძველ მდგომარეობაში დატოვება, უჭვე ახლაც ველარ ახერხებს ზოგიერთი კოლექტიური მეურნეობა უტელეფონოდ დარჩენას და სხვ. ყოველივე ეს საბჭოების საქმეს შეადგენს. განა საბჭოების გაუქმებაზე შეიძლება ამჟამად ლაპარაკი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში? მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში საბჭოების ლიკვიდაცია კი არა, მათი მუშაობის გაუმჯობესებაა საჭირო.

საბჭოების მუშაობის ნაკლმა როგორც სოფლად, ისე ქალაქად, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს იჩინა თავი.

სხვათა შორის, ამასთან არის დაკავშირებული ის გარემოებაც, რომ მთელ ამ სამეურნეო კამპანიებში საქმის მთელი სიმძიმე თითქმის მარტო პარტიული ორგანიზაციებს დააწვა. ამის ნათელყოფა შეიძლება პურის დამზადების მაგალითზე. საბჭოები და კოოპერაცია მეტად სუსტი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეკისრათ პურის დამზადების ორი უკანასკნელი კამპანიის ჩატარება. ხშირად პარტორგანიზაციები იძულებული ხდებოდენ თითქმის უშუალოდ თვითონ აეღოთ ეს საქმე თავიანთ ხელში. უამისოთ ჩვენ ვერ შევძლებდით პურის დაგროვება-დამზადებას, და დღეს არ გვექნებოდა პური არც მუშებისათვის, და არც წითელი არმიისათვის. საბჭოთა და კოოპერატიული აპარატის სისუსტემ, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი.

უკანასკნელ დროს, როცა პურის დამზადებამ და თესვის კამპანიამ, ამ სამეურნეო ამოცანებმა უდიდესი პო-

ლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვეს, საბჭოებმა და კოოპერაციამ პარტიული ორგანიზაციების ღონისძიებებისა, და უშუალო ჩარევის გარეშე ვერ შესძლეს გაძღოლოდენ თავიანთ მოვალეობას. ამ სამეურნეო მუშაობაში პარტიის მუშაობის მნიშვნელობა ხშირად მეტად საგრძნობი იყო არა იმიტომ, რომ პარტიული ორგანიზაციები ამ შემთხვევაში არ იქცეოდენ სწორად, არამედ პირიქით, იმიტომ, რომ ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების დაწესებულებათა იმდენათ განმტკიცება, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოების მეტი საქმიანობა სამეურნეო ამოცანების შესრულების საქმეში.

ჩვენ ახალ ამოცანებს სოფლად მრავალი დაბრკოლებები ელობება და ასე ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ რომ საბჭოები განმტკიცებით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თუ მათი ძალა და გავლენა გადიდდება, თუ ისინი შესძლებენ საქმით განახორციელონ თავიანთი ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ. პარტორგანიზაციების სოფლად განმტკიცებასთან ერთად, ჩვენს უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელი ამოცანათ ვთვლით საბჭოთა მუშაობის გარდაქმნას სოფლად, მათი მუშაობის წესების და მიდგომის. ამ მუშაობის სახის ძირიანათ შეცვლას და, მათი—საბჭოების შემადგენლობის სრულ განახლებას.

გამოვიყვანოთ აქედან პრაქტიკული დასკვნები.

4. ახალი ამოცანები და საბჭოების გადარჩევა

ჩვენ უნდა შევძლოთ საბჭოების მუშაობის სრული შემობრუნება სოფლად. ჩვენ საბჭოები უნდა შევაბრუნოთ პირით კოლმეურნეობის მოძრაობისაკენ. ამ შებრუნების ბერკეტს წარმოადგენს საბჭოების ხელახალი არჩევა.

სადაც საბჭოები განზე სდგანან კოლმეურნეობის მოძრაობიდან, სადაც საბჭოები არ მუშაობენ მოკავშირეობისა და ღარიბების კავშირების საქმეზე, იქ არ შეიძლება მტკიცე კავშირის შექმნა საშუალო გლეხობასთან კულაკების მოსპობის განსახორციელებლად მიმართული. აქაც აგრეთვე უნდა დაისვას საბჭოების ხელახალი არჩევის საკითხი.

საბჭოები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ კულაკობის წინააღმდეგ, ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ისეთ საბჭოებათ, რომლებიც შესძლებენ კოლექტივიზაციის ხელმძღვანელობის საქმის გაძღოლას სოფლად. ამიტომ, აქაც გადარჩევის საკითხი დღის წესრიგში უნდა დაისვას.

არა კულაკის კუდში ჩანჩალი, არა კოლმეურნეობრივი მოძრაობის შეფერხება, არამედ გლეხობის სათავეში დგომა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. — ასეთია საბჭოების მთავარი ამოცანა სოფლად. წელახლად უნდა აირჩეს ის საბჭოები, რომლებმაც გამოიჩინეს თავიანთი უნარ - მოკლებული მუშაობა, ვერ მოახერხებს კოლმეურნეობებისაკენ პირით შებრუნება.

საბჭოების ხელახალი არჩევა ლოზუნგით: „პირი კოლმეურნეობის მოძრაობისაკენ",—აი დღევანდელი დღის ამოცანა.

წელს სოფლად საბჭოების გადარჩევის ჩვეულებრივი კამპანია გადადებულია. ასეთი კამპანია ამჟამად ვერ მიაღწევს მიზანს. საქმე საგრძნობლად გართულდა. ინსტრუქციების დაწერა და დაგზავნა, ლოზუნგის მიცემა, მუშაკების დარაზმვა, ყოველივე ეს ახლა აღარ კმარა. საჭიროა საბჭოების ახალი არჩევნები მოხდეს საბჭოთა მუშაობის სრული გარდატეხის და ახალი ამოცანებისაკენ შებრუნების თვალსაზრისით. ამავე დროს საჭიროა აღგილობრივ და, მაშასადამე განსაკუთრებით

ცალკე რაიონებში, რაც არსებობს იმ მდგომარეობის გათვალისწინება.

კოლმეურნეობის მოძრაობამ სხვადასხვა რაიონებში ჯერ ვერ მოიპოვა ერთნაირი მნიშვნელობა. ამის გამო, საბჭოების გადარჩევის საკითხი სხვადასხვა რაიონში სხვადასხვანაირად სდგას.

ვინაიდან საბჭოების მუშაობის გარდაქმნა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, ამიტომ საბჭოების არჩევნების ჩატარება აქ უკვე დღის წესრიგში უნდა დაისვას. საბჭოებში არჩეულ უნდა იქნან კოლმეურნეობათა აქტიურ მუშაკებიდან გამოყოფილი ახალი ძალები. მათ შორის საუკეთესოები სათავეში უნდა ჩაუდგენ საბჭოებს. კოლმეურნეობის მოძრაობას საბჭოები არ უნდა ჩამორჩენ აგრეთვე სხვა რაიონებშიაც. სოციალისტური მშენებლობის წარმატება ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით ახალი საფეხური სოფლის კოლექტივიზაციის განვითარებაში, მოითხოვს ყველა ჩვენი ორგანოების მუშაობის გარდაქმნას. განსაკუთრებით ჩამორჩენ ამ მხრივ საბჭოები. არც შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო. საბჭოების მუშაობის გარდაქმნის სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის ფართო მასების ორგანიზაცია, ეს არის ორგანიზაცია, რომელშიაც გაერთიანებულია არა მარტო მუშათა კლასი, არამედ გლეხობის მთელი ძირითადი მასა. ამიტომ საბჭოებში განსაკუთრებით სოფლად, შეუძლებელია, რომ არ ჰპოვოს თავისი გამოხატულება მშრომელი მასის ჩამორჩენილ ფენების განწყობილებამ. ამიტომ სოფლის საბჭოები ჯერ კიდევ ასე სუსტად ასრულებენ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვის ამოცანას. სწორედ ამიტომაა ისიც, რომ მეორეს მხრივ, ხშირად ისინი კულაკების გავლენის ქვეშ ექცევიან. მაგრამ თუ ჩვენ საბჭოების მუშაობაში უზრუნველვყოფთ მობრუნებას ახალ სოციალისტურ ამოცანებისაკენ, ამით უზრუნველყოფილი იქნება საბჭოების მიბრუნება პირით კოლმეურნეობისაკენ და ჩვენ უზარმაზარ ნაბიჯს გადავდგამთ წინ სოციალიზმის მშენებლობისაკენ, ვინაიდან სოციალიზმის მშენებლობის საფუძველი მშრომელთა სოციალისტური ამოცანების განხორციელებაში ფართო მასების აქტიური მონაწილეობაა; ამგვარათ, საბჭოების წინაშე სდგას ახალი ამოცანა. სოფლად ეს ამოცანები გამომდინარეობენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მსვლელობიდან; ამასთან დაკავშირებულია მთელი გლეხური ყოფაცხოვრების გარდაქმნის უდიდესი ამოცანები. ახალი ამოცანების განხორციელება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაწარმოებთ მედგარ, დაუზოგველ ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ.

სოფლის საბჭოების წინაშე განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი კულაკების და მათი დამჭაშების საბჭოებიდან გაძევების შესახებ. ამასთან ერთად, მხოლოდ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ძირითადი მასების მჭიდროთ დარაზმვის საფუძველზე, მხოლოდ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვით საბჭოების ირგვლივ სოფლის საბჭოები შესძლებენ ახალი ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ამჟამად საბჭოებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხების მჭიდროთ შეკავშირება საბჭოებში, და ამ საფუძველზე პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერება კოლმეურნეობის მოძრაობაში.

მხოლოდ ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით და საშუალო გლეხობასთან კავშირით შეიძლება საბჭოებმა მიაღ-

წიონ გადამწყვეტ წარმატებას კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში და კულაკების საბოლოო განადგურებას.

ამჟამად სოფელში ათასობით მიემგზავრებიან მუშები, ისინი უნდა გახდენ საბჭოების მუშაობის გარდაქმნის მთავარ მომქმედ მონაწილეებად. 25.000 მოწინავე პროლეტარი სოფელში უდიდეს საქმეს გააკეთებს ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების მჭიდროთ დარაზმვის, საბჭოებში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ძალის ჩამოყალიბებასა და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების საქმეში.

სოფლის ახალ საბჭოებში უნდა ავირჩიოთ საუკეთესოები, მოჯამაგირე და ღარიბ გლეხებიდან და კოლმეურნეობათა მოწინავე მუშაკებიდან.

ეს იქნება საბჭოების მუშაობის ნამდვილი გამოცოცხლება. ასე და ამრიგად მოვაწყობთ ჩვენ იმ საბჭოებს, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან კოლექტივიზაციას და რომლებიც შეასრულებენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ნამდვილი ხელმძღვანელობას.

ლოზუნგი **„პირით კოლმეურნეობისაკენ“**—ასე დავიწყოთ საბჭოების მუშაობის ძირითადი გარდაქმნა საბჭოების განახლებისათვის.

საბჭოების ახალი ამოცანები კოლექტივიზაციის ფართოთ გაშლასთან დაკავშირებით

(საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება)

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მოისწვია მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების აღმასრულებელი კომიტეტების, საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების და ქალაქის და სოფლის საბჭოების წარმომადგენელთა თათბირი საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ, სოფლად კოლექტივიზაციის ფართოდ გაშლასთან დაკავშირებით. ამ თათბირის გადაწყვეტილებასთან შეფარდებით საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი შემდეგ მითითებებს აძლევს ადგილობრივ საბჭოებს.

1. წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა მასიური კოლექტივიზაცია და ბუმბერაზული სოციალისტური გარდაქმნა და კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის გადამწყვეტელი პოლიტიკა ახალი სახით სვამს საკითხს საბჭოების მთელი ძირითად ჭრილის მუშაობის შესახებ და უმაღლეს საფეხურზე გადაჰყავს მათი მუშაობა.

იმ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომელიც კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის დროს უფრო გააფთრებული ხდება, განსაკუთრებით უნდა გაძლიერდნენ და გაშტკიცდნენ პროლეტარული დიქტატურის ორგანოები—საბჭოები. კოლმეურნეობათა მასიური ორგანიზაცია არა თუ არა სჭობს, არამედ გულისხმობს კიდეც კლასობრივი მტრების აქტიურ წინააღმდეგობას აშკარა და ფარული სახით. საბჭოები წარმოადგენენ იმ ორგანოებს, რომლებიც მოკამაგრეთა, ღარიბ გლეხთა და საშუალო გლეხობის ფართო მასების აქტივობას რაზმავენ სოფლის მთელი ცხოვრების გარდასაქმნელად სოციალისტურ საფუძველზე. ხოლო კოლმეურნეობები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც საწარმოო გაერთიანებებს წარმოადგენენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუპირისპირდენ სოფლის საბჭოებს და არც უნდა დაუპირისპირდნენ მათ, როგორც საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების მთლიანი სისტემის საფეხურებს.

ყველა ის ცდები, რომ მასიურ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, მოხდეს სოფლის საბჭოების მოსპობა, შესუსტდეს ან შემცირდეს მათი ხელმძღვანელი როლი როგორც აშკარა, ისე ფარული სახით, კოლმეურნეობათა გამგეობისათვის სოფლის საბჭოების უფლებების გადაცემის საშუალებით—ყველა ეს ცდები არაებითად სასჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ცდებია და გამოხატავენ ჩვენი კლასობრივი მტრების განწყობილებებს, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ პროლეტარიატის დიქტატურას და შეასუსტონ მისი ორგანოების ძალა. ასეთი მისწრაფებები გადაჭრით და ულმობლად უნდა უკუვაგდოთ.

2. მასიური კოლექტივიზაციის პირობებში სოფლის საბჭოების მუშაობა უდიდესად იზრდება, რთულდება და ფართოვდება. ამავე დროს კი საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ორგანოები, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საბჭოების მუშაობის გაცხოველების პოლიტიკასთან დაკავშირებით, სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ ხანაში სრულებით არ შეეფერებიან იმ ახალ მოთხოვნებს, რომლებმაც თავი იჩინეს და თავს ჩენენ მასიურ კოლექტივიზაციის დროს. საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ორგანოების მუშაობის შინაარსი და ფორმები, რომლებიც შეფარდებული იყო აღდგენის ხანასთან, როდესაც სოფლის მეურნეობაში ჩვენს წინაშე უმთავრესად იდგა პიროვნულ გლეხურ მეურნეობათა აღდგენა. სრულებით არ შეეფერება მუშაობას ახლანდელ საფეხურზე—სოფლის მეურნეობის ძირითადი სოციალისტური გარდაქმნის საფეხურზე.

სოფლის საბჭოები თავიანთი უმრავლესობით სათავეში ვერ ჩაუდგენ კოლმეურნეობრივ მოძრაობას. სოფლის საბჭოები განზე უდგანან კოლექტივიზაციას და ვერ ახორციელებენ ძირითად ამოცანებს ქალაქისა და სოფლის დაკავშირების საწარმოო ფორმების განხორციელების საქმეში. ისინი სუსტ მონაწილეობას ღებულობენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში, უკან მისჩანჩალებენ კოლექტივიზაციას და არ ასრულებენ თავიანთ ამოცანებს, როგორც პროლეტარული დიქტატურის ორგანოები. სოფლის საბჭოებს არ შეეძლოთ თვალსაჩინოთ გარდაექმნათ თავისი

მუშაობა თავისი არადამაკმაყოფილებელი [illegible]ნლობისა და თავისი კადრების სისუსტის გამო, აგრეთვე მაღლამდგომ აღმასრულებელი კომიტეტის მხრივ სუსტი ხელმძღვანელობას, ხოლო მთელ რიგ ადგილებში კულაკების აშკარა და ფარული გავლენის გამო, საჭიროა მიხწეულ იქნას სწრაფი, ძირითადი და გადამჭრელი გარდატეხა სოფლის საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებაში. ის სოფლის საბჭო, რომელიც არ გარდაქმნის თავის მუშაობას ახალ ამოცანებთან შეფარდებით, მასიურ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, სათავეში არ ჩაუდგება კოლმეურნეობრივ მოძრაობას,—ასეთი საბჭო სინამდვილეში იქნება კულაკური სოფლის საბჭო და მას არ შეუძლია განახორციელოს სოციალისტური მშენებლობის პოლიტიკა. აგრეთვე ის კოლმეურნეობა, რომელიც სოფლის საბჭოს წინააღმდეგ მიდის, სცდილობს მოახდინოს მისი მოსპობა ან თავისი მუშაობაში გვერდი აუხვიოს სოფლის საბჭოს,—ასეთი კოლმეურნეობა კულაკებს უწყობს ხელს და არ შეიძლება წარმოადგენდეს სოფლის მეურნეობის გარდაქმნის სოციალისტურ ფორმას.

3. სოფლის საბჭოების მუშაობის ძირითად შეიარაღს, მასიურ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, წარმოადგენს მათი აქტიური მონაწილეობა კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შედგენაში და მათ განხორციელებაში, ამასთან სოფლის საბჭოების მნიშვნელობა განსაკუთრებით უნდა გამოიხატოს იმაში, რომ მათ ხელი შეუწყონ განსაზოგადოების გაძლიერებას, შრომის სწორ მოწესრიგებას, თვალყური ადევნონ კოლმეურნეობებს, თუ რამდენად ასრულებენ ისინი თავის ვალდებულებებს პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე (პურის დამზადება, კონტრაქტაცია, გადასახადები და სხვ.) სოფლის საბჭოებმა ღარიბ და საშუალო გლეხთა ყველა მეურნეობები უნდა ჩააბან კოლმეურნეობებში, მოსპონ კულაკობა, როგორც კლასი, და გადაჭრით აღკვეთონ კულაკების ცდები—შეიპარონ კოლმეურნეობებში ან გავლენა მოახდინონ მათ მუშაობაზე. სოფლის საბჭოს, განსაკუთრებით, მოლიანი კოლექტივიზაციის რაიონში, უნდა ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი. სოფლის საბჭოები უნდა ხელმძღვანელობდენ ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, აგრეთვე სოფლის კეთილ-მოწყობას და მთელ ამ მუშაობას უნდა მიმართავდნენ მასების სოციალისტური აღზრდის გზით—მთელი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისაკენ. სოფლის საბჭო, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია, განაგებს ყველა საადგილ-მამულო ფონდებს, თვალყურს ადევნებს ამ ფონდების მიზანშეწონილად და გონივრულად გამოყენებას, განიხილავს კოლმეურნეობათა შუამდგომლობებს მათთვის კრედიტების (სესხების) მიცემის შესახებ, ამტკიცებს ამ შუამდგომლობებს და სცდილობს მათ დაკმაყოფილებას. ამ ახალ მოვალეობებთან ერთად სავსებით ძალაში რჩება სოფლის საბჭოების ადმინისტრატიული მოვალეობანი (რევოლიუციონური წესრიგის დაცვა და სხვ.).

4. სოფლის საბჭოებს შეუძლიათ თავი გაართვან მათ წინაშე მასიურ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი გაუმჯობესებენ მასიურ მუშაობას და ფართო მასებს რაც შეიძლება მეტად ჩააბამენ საბჭოების მუშაობაში. მხოლოდ იმ პირობით, თუ მჭიდროდ შეაკავშირებენ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა მასებს, მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხები ჩაბმულნი იქნებიან საბჭოების უოველდღიურ მუშაობაში, თუ თვალსაჩინოთ გადიდდება მათი რიცხვი სოფლის საბჭოების შემადგენლობაში—მხოლოდ ამ პირობით შეიძლება წარმატებით გადაიჭრას სოფლის საბჭოების წინაშე მდგომი ახალი ამოცანები. ამასთან უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა სოფლის საბჭოების ხელმძღვანელი კადრების შერჩევას. ხელმძღვანელი საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ახლანდელ საფეხურზე თავის საქმიანობაში უმთავრესი ადგილი დაუთმონ მუშაობას ქვედა საფეხურის საბჭოთა მუშაკების მომზადებასა და გადამზადებისათვის. ქალაქის საბჭოები ნამდვილათ უნდა დაეხმარონ სოფლის საბჭოებს, რისთვისაც სოფლის საბჭოებში დროებით ან მუდმივ სამუშაოდ უნდა გაგზავნონ განსაკუთრებული ბრიგადები, რომლებშიაც უნდა შედიოდენ ქალაქის საბჭოების წევრები და მოწინავე მუშები.


5. იმისათვის, რომ მიხწეული იქნას გადამჭრელი და სწრაფი გარდატეხა, საჭიროა მოხდეს იმ სოფლის საბჭოების გადარჩევა, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს კოლმეურნეობრივი მოძრაობის ხელმძღვანელობის უნარი.

ის სოფლის საბჭო, რომელმაც ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა, ის სოფლის საბჭო, რომელიც ჩამორჩება სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის სისწრაფეს, რომელსაც არ შეუძლია დარაზმოს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები, დაუყოვნებლივ უნდა გადაირჩეს. ამ გადარჩევის დროს დარაზმულ უნდა იქნენ მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა უფართოესი მასები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის ლოზუნგით. სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნა ახალი სახით, მათი მიბრუნება პირით კოლექტივიზაციისაკენ—აი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ამჟამად.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე

კალინინი.

ცაკის მდივანი: ენუქიძე.



სწარმოებს ხელის მოწერა 1930 წლისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის „ბ“ საგლეხო გაზეთი

„ახალი სოფელი“

გამოდის კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობითა და კვირაობით

1930 წლის ხელისმომწერნი უფასო დამატებად მიიღებენ ორკვირეულ იუმორისტ ჟურნალს „ეშლტს“

და თვითეულ ორკვირაში ლიტერატურულ დამატებას წიგნაკის სახით

ხელისმოწერის პირობები: ერთი წლით – ოცი მანეთი, ექვსი თვით – 11 მან. 20 კაპ. | სამი თვით – 70 კაპ., ერთი თვით – 30 კაპ.

გაზეთის გამოვლინებისთვის მემგარათეთ სოფლის მასწავლებლებს. ჭრის საკითხველოებს გამგეებს, მწერალთა მეგობრის მუშაობას, მლეხკორებს, კოოპერატიულ მუშაობას, სოლიდარობის ხელშეწყობებს ან თვით ყოველ ადგილს.

გაზეთ „ახალი სოფელი“-ს გაავრცელებაზე გამოსცადებულია შესანიშნავ პირობებს, რომელიც პოვანილობის მიხედვის. შეიძლება უველას ჰქონდეს საკუთარი გაზეთი.

გამავრცელებლებს ჯილდოს გასცემს ძალიან 10 ცალობნი ფულით თანხით.

ხელის მოწერის მასალები სიები, ქვითრები, პოსტიშები და სხვა უველა დაბარებულთ აქვს გამავრცელებლებს მიმართველთ შეეძლებით დამატებით პოსტიშებით ან მასალებით ლიტერატურით.

ადგილობრივ, გაზეთ „ახალი სოფელი“-ს მეთანამშრომეს, ხელის მოწერებს, მლეხკორებს, ქოლხოზის მართველობას, სკოლებს, კოოპერატივებს, მლეხობის, საფოსტო განყოფილებების და სხვა სოფლის მუშაკებს. – შეიძლებით თანამედ გაზეთის „ახალი სოფელი“-ს გავრცელებას.

ამიტომ ზემოთი ჩვენ არც ერთი მლეხი არ დარჩის უგაზეთოდ.

გავრცელებით ერთობლივი შეჯიბრებაში გაზეთის გავრცელებაზე ჩვენს ჩვენი გაზეთის ხელის მოწერთა რიცხვმა 100.000-მდე უნდა მიაღწიოს.

რედაქციის და ადმინისტრაციის მისამართი: ქ. ტფილისი, პოლტორაწკის ქ. № 11 ტელ. 15 – 38

„ახალი სოფელი“-ს განყოფილება

s 984 b
1930